


1
1950

ნ ი ა ნ ბ ი

ქართული
გაზეთთა

№ 19 თბილისი ოქტომბერი 1950 წ.
ბამბახელოვა „კომუნისტი“ წელი XXVII ფასი 2 მან.



საქართველოს სსრ სსრკ მკვლევართა
კავშირის გამომცემი
230
23/4
1



საქართველოს სსრ

მდიდარი და უხვი იყო მუდამ ჩვენი შემოდგომა,
პისი დიდი მოსავალი ვერ დასეტევს ვეღარც ომს!
წელს, პეტაძრე ისე დღევის ათასფერი, ათასტონა,
რომ ვერც ერთმა წელიწადმა სასწორი ვერ გადასწონა!



შუადღე გადასული იყო. ცაცხვის ჩრდილმა თითქოს ცაცხვის ტანში გაიარაო, ახლა აღმოსავლეთისკენ იწყო წაგრძელება. ბაბუა აგაბო ფანჯარასთან წამომჯდარიყო და ნაღვლიანი თვალებით გადაჰყურებდა ეზოში მდგარ ოსტატ-მუშებს, მათ უკვე გაეთავებინათ ბირდაბირის ქლიბვა და ხეზე გასულ ანდროს უყურებდნენ. ანდრო ფრთხილად გადადიოდა ტოტიდან ტოტზე, გრძელ-გრძელ თოკებს ამაგრებდა, რომ გადახერხვისას სახლის მოპირდაპირე მხარესკენ გადაეხნიქათ უზარმაზარი ცაცხვი. ანდრო მალე ჩამოვიდა ხიდან და კიბე ისევ სახლის კედელზე მიაყუდა...

— აბა, დავიწყეთ! — გადასძახა მან ოსტატ-მუშებს. აგაბოს გული შეეკუმშა, წამოდგომას აპირებდა, მაგრამ ხერხის პირველმა ახრიალებამ ძარღვები მოუღუნა...

ჯერ კიდევ 19 წლის კაბუკი იყო აგაბო, როდესაც საგანგებოდ შერჩეული ცაცხვის ნერგი გადმოიტანა მეზობლიდან და ეზოში დარგო. „მანამდე არ მოგვედებო, სანამ ამ ცაცხვიდან საწნახელი არ გამოითლებაო“, უთქვამს მაშინ აგაბოს, მაგრამ წელიწადები სწრაფად გადიოდნენ, ცაცხვი კი უფრო სწრაფად იზრდებოდა... რამდენი დაუფიწყარი სალამო ჰქონდა დაკავშირებული ამ ცაცხვთან... ერთი განსაკუთრებით დაამახსოვრდა... შუალამისას რომ გააღვიძა მეზობელმა, ქუთაისიდან ჩამოსულიყო და ვილაც ქერა ახალგაზრდა ჩამოჰყლოდა თან... იმ ღამითვე დააღვიძეს დანარჩენები... ფრთხილად, ძალღებმაც კი ვერ გაიგეს, ისე შეიკრიბნენ ამ ცაცხვის ქვეშ... გატაცებით ლაპარაკობდა ქერა ახალგაზრდა, შეიარაღებისკენ და ბრძოლისკენ მოუწოდებდა გლეხებს... ამ ამბებს 1905 წლის რევოლუცია მოჰყვა. რევოლუციამ თბილისში ჩამოიყვანა აგაბო... და ერთხელ მას პროკლამაციის პატარა ფურცელიც ხვდა წილად ავლაბრის სტამბიდან გამოტანილი. იმ ფურცელმა სწორედ ამ ცაცხვის ქვეშ გაშალა ფრთა, კვლავ შეჰკრიბა საიდუმლოდ მოსაუბრე ლანდები... დიდმა დრომ გაიარა მას შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა... აგაბო რამდენჯერმე იყო თბილისში, რამდენჯერმე დაათვალიერა ავლაბრის არალეგარული სტამბის მუხეუმი... ცაცხვის ქვეშ კი ორი დიდი ქორწილი გადაუხადა თავის ქალ-ვაჟს...

... ჰოდა, შარშან შემოდგომაზე სწორედ ამ ცაცხვის მოკრა მოინდომა ანდრომ, — „საწნახელს გამოვთლი, გაისამდრომდე გამოშრება და იმ შემოდგომისთვის მაინც გვექნებაო“. მაშინ აგაბომ როგორც იქნა გადააჯერა შვილი, დღეს დილით კი უარი ვედარ უთხრა: „ბავშვივით ვეჯიუტები და საქმეში ხელს ვუშლიო“. ძველი, მამაპაპისეული საწნახელი დასკდა, დაიბზარა და ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ დააპეს შეშად. წელს კი საკარმიდამო ახალშენმა ვენახმა ისე მოისხა, რომ აშკარა გახდა მომავალში მაინც ოჯახს თავისი საწნახელი დასკირდებოდა. ამიტომ იყო ცაცხვის მოკრა და საკუთარი საწნახელის გამოთლა რომ გადასწყვიტა ანდრომ. შრომაში გართულს და ოჯახის კეთილმოწყობაზე მზრუნველ შვილს ყურადღებიდან გამორჩა მოხუცი მა-

მის აღელვება, როდესაც ეზოში მეზობელი შემოიყვანა და ცაცხვის ძირას დააწყებინა ბირდაბირის ქლიბვა... შეშფოთდა აგაბო, „ავად გახდა“, რეზოს დააბარა, თავის შვილი-შვილს: „სკოლიდან საექიმო პუნქტში გაიარე და ექიმბი მიიყვანე, ავად ვარო“. მიხვდა რეზო, თუ „ტატ-სტკითდას“ რად ჩავარდა ლოგინად ბაბუა, ეშმაკურად გაიღიმა და თავისთავს თვალი ჩაუკრა...

... ახლაც ისეთივე ეშმაკური ღიმილით შემოირბინა ეზოში, კიშკარს ურდული აჰხადა რეზომ, ურემში გაბმულ ხარების წინ მდგარ მეურმეს გზა დაუცალა და მხოლოდ ახლა მოესმა ხერხის ხრიალი, ბავშვი იყო და ბავშვივით აღელდა, უმაღვე მიიჭრა მხერხავებთან და ერთ-ერთ მათგანს მაჯაში ჩაეჭიდა:

— ბიძია... ბიძია, რას სჩადით, ბიძია... არ მოსკრათ ხე!

ლოგინად ჩავარდნილმა აგაბომ მაშინვე იცნო რეზოს ხმა, ნაღვლიანი თვალები გამოუცოცხლდა, გაიფიქრა „ბიჭმა ექიმი მომიყვანაო“ და საბანი ნიკაპთან ამოიტანა, მაგრამ როგორი იყო მისი გაოცება, როცა ოთახში რეზოსთან ერთად კოლმეურნეობის მარნის გამგე სიმონი შემოვიდა, მოხუცს ხელი ჩამოართვა და ღიმილით წარმოსთქვა:

— ექიმმა შენთან მე გამომგზავნა, ბაბუა, აგაბოს შენ უფრო მოარჩენო... აბა, მიჩვენე მაჯა... უჰ... უჰ... რა ავად ყოფილხარ?! აი, უყურე, ისეთი რეცეპტი გამოგიწერო, რომ...

ამ სიტყვებთან ერთად სიმონმა ხელში შემორჩენილი სახრე აივანზე გაისროლა, ისეთი მოძრაობა გააკეთა, ვითომ ჯიბიდან რალაც ამოიღო, მერე ჰაერს თითები ჩასქიდა, თითქოს რაიმე ქალაღი უჭირავსო და „კითხვა“ დაიწყო: „ვიღებთ რა მხედველობაში ბაბუა აგაბოს ა-ვად-მყო-ფო-ბის მიზეზს და აგრეთვე იმას, რომ კოლმეურნეობამ მთლიანად დაამთავრა ყურძნის წურვა, წინადადებას ვაძლევთ ანდროს იხმაროს კოლექტივის ყურძნის საწურავი მანქანა, როგორც წელს, ისე შემდგომშიაც და... (სიმონმა ღიმილით გადახედა აივანზე შემოკრებილ მხერხავებს, მერე ანდროს და მოხუცის გასაგონად სიტყვა გარკვევით დაასრულა)... თავი დაანებოს ცაცხვის მოკრასო“.


აგაბო თითქოს ყველაფერს მიხვდაო, სასწრაფოდ წამოდგა და აივანზე გავიდა. მხოლოდ ახლა მოჰკრა თვალი ურემზე შედგმულ საწურავ მანქანას. ყველანი აგაბოს შეჰყურებდნენ, ანდროც მოსიყვარულე ბავშვივით იღიმებოდა ახლა. გახარებული მოხუცი წინდების ამარა ჩავიდა ეზოში, სასწრაფოდ გამოაძრო ცაცხვის მერქანში ჩატოვებული ხერხი, ისეთი სიამოვნება იგრძნო, თითქოს ეკალი ამოუღეს გულიდანო. მერე თვალთ მოზომა გადახერხილის სიღრმე და აღტაცებით წამოიძახა:

— იცოცხლებს! იცოცხლებს!

ელიზბეკ ჟიზიანი



ილუსტრაცია ა. ბანძელაძისა



საქართველო

იხრჩობიან ყვითელ ზღვაში და უცქერენ გაკვირვებით,

რომ აგრეთვე ყვითელ ზღვაში იხრჩობიან ბანკირებიც.

ნანს. გ. ლომიძის

ნაიხრჩობიან ყვითელ ზღვაში და უცქერენ გაკვირვებით

საქართველო

ელექტრობას რომ უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს—ეს საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ამასთან იგი საშიშიც არის. საკმარისია გაუფრთხილებლად შეეხო დენს და გათავდა შენი საქმე—შეიძლება წინაპრებთან წერილის წაღებაც მოგიხდეს.

ელექტრობასთან კი აუარებელ ხალხს უხდება იქონიოს საქმე. მათ შორის მალაქალიფიციური სპეციალისტებიც არიან და რიგითი მონტიორებიც, რომლებსაც დიდი სიფრთხილე, მართებთ, რომ დენმა არ დააშავოს, ხოლო ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის არსებობს სათანადო სახელმძღვანელო, რომელშიც აღნუსხულია უშიშროების სათანადო წესები. თუ კარგად შეისწავლი და ზუსტად დაიცავ მათ, დაზღვეული იქნები მოსალოდნელი ხიფათისაგან. მაგრამ სახელმძღვანელო მაშინ დაგვეხმარება და იქ გადმოცემულ წესებს მაშინ შეგვასწავლის კარგად, თუ იგი გასაგებად იქნება დაწერილი.

ვერ ვკისრულობთ პასუხისმგებლობას განაცხადით—მოგვეპოვებოდა თუ არა აქამდე ქართულ ენაზე ელექტრომუშაკათვის უშიშროების წესები, ხოლო იმის განცხადება კი მთელი პასუხისმგებლობით შეგიძლია, რომ ასეთი წესები ამ ცოტა ხნის წინათ გამოსცა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ენერგეტიკულმა (და არა ენერგეტიკულმა) სამმართველომ. როგორც წიგნს აწერია, იგი „გადმოთარგმნილია ტრენის ს. მიერ“ (პასუხისმგებელი გამოცემაზე?) (თუ გამოცემის სათავეს?) ს. ი. გვანდიაშვილი).

წიგნისთვის შთამაგონებელი სათაური გამოუძებნიათ: „უშიშროების წესები ქალაქებისა და სოფლების ელექტრომომწოდებლების ექსპლუატაციის დროს“.

იგი გამოშვებულია 2500-ანი ტირაჟით და ღირს 6 მ. 50 კ. ალბათ, ტრესტი ფიქრობს, უშიშროების წესების შესწავლა ამ ფასად იაფიც კი არისო. შეიძლება არც ჩვენ დავემდღუროთ, თუკი მართლაც „უშიშროების წესები“ იგი ელდენის დარტყმისაგან. მაგრამ რა უნდა მოგუხერხობთ ამ წიგნში ჩაყრილ გაუგებარ რებუსებს, რომლებიც ელდენივით არტყამენ აზრსაც და მართლწერასაც?

ამ წიგნის სატიტულო წარწერებიდანვე ხედავთ მთარგმნელის დიდ ყურებს, რომლებიც „საქომუნენერგოს“ ზურგს უკან ამოფარებულა. ეტყობა ამ ყურების პატრონი ფიქრობს: მე დავიმალება, წიგნის ჩიქორთულს ტრესტს დაბრალდებენ, ტრესტი კი—მოწოდებულია იცოდეს ელექტრომომწოდებლობათა ექსპლუატაცია, და არა სინტაქსი, მორფოლოგია, მართლწერა, საერთოდ, ენის ნორმები. მაშასადამე, საქმეც იოლად გამოვაო.

და „გამოსულა“, აი, როგორ: წიგნის წინასიტყვაობაშივე ვხვდებით მასში უხვად გაბნეულ მარგალიტების ასეთ მარცვალს:

„შეტანილია ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ითვალისწინებენ ცხოვრებაში გატარების პრაქტიკას რამდენიმე წლის განმავლობაში“.

როგორ გნებავთ გაიგოთ ეს „მალალი ჭინვის“ რებუსი? რამდენიმე წლის განმავლობაში „ითვალისწინებენ“ დამატებები პრაქტიკას, თუ პრაქტიკა—დამატებებს? ან იქნებ „კომუნენერგოში“ ცვლილებები უკვე აღამინებდად გადაქცეულა?

მე-12 გვერდზე „წესების“ მე-19 მუხლი „უშიშროებას“ გვასწავლის ასე:

„ხელახალი ჩართვა გამართული ამომრთისა, რომლის გამართვის უნარიანობა არ შეესაბამება მოკლე ჩართვის დენებს და რომლის მომყვანი არ არის დაცული კედლით ან ლითონის ფარით, შეიძლება გამართული ობიექტის წინასწარი შეუმოწმებების გარეშე მხოლოდ დისტანციური მომყვანიო“.

აი, ენის ოთურმაც სწორედ ამასა ჰქვიან! მართალია, აქ აკლია ასეთივე ალიტერაციული გამოცანა: „თეთრი თრითინა თეთრ თრთვილზედა თრთის“, მაგრამ უიმისოდაც მშვენივრად გაიტყვენ ენას მონტიორები.

ექვი არ არის დიდი ყურების პატრონს თავიც კი მოაქვს ასეთი მალალი ძაბვის გრამატიკით. ის მკითხველს ეუბნება: აი, ჩემო კარგებო, ისწავლეთ! დაუკვირდით ენის დახვეწილობას, მრავლობითი და მხოლოდობითი ფორმების მოხდენილად ხმარებას, სულიერი და უსული საგნების ერთიმეორის მაგიერ ამოქმედებას, წყვეტილი თუ ბოლოკვეთილი განოთქმების წყობას, პირთა და ქვემდებარე-შემასმენელთა განლაგებას, დაუკვირდით და ისწავლეთ არა მარტო „უშიშროების წესები“, არამედ მართლწერაცო.

თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ სიტყვა „მუშაობა“ მრავლობით ფორმაში იხმარება.—„საქომუნენერგოში“ კი იცის. იცის და გასწავლით აი, ასე:

„სამუშაოები, რომლებიც სრულდებიან“ (გვ. 13).

„სამუშაოები, რომლებიც შეიძლება წარმოებდნენ“ (გვ. 59).

„ყოველგვარი სამუშაოების წარმოების დროს აკრძალულია“ (გვ. 11).

ამავე ფორმაში გადასულა სიტყვა „ოპერაციის“ და მსგავსი სიტყვების ბრუნვა:

„უნდა იცოდნენ რა მიზნით და რა თანმიმდევრობით სრულდებიან ვადართების ოპერაციები“ (გვ. 12).

„კაბელები და ქურები იმგვარად უნდა ჩამოიკიდნონ“ (გვ. 39).

„ერთ-ერთ შემთხვევაში პირობებს“ (გვ. 9).

და ასე შემდეგ, თვით კორექტურულ აბსურდებამდე.

ასე ბლუჯა-ბლუჯად გახლავთ გაბნეული მსგავსი მალალი ძაბვის მარგალიტები ამ „უშიშროების წესებში“.

თქვენ ხუმრობად მოგჩვენებთ, გაიცინებთ, მაგრამ, აბა ერთი „კომუნენერგოსაც“ ჰკითხეთ: იქ, ალბათ, სერიოზულად ჰგონიათ, რომ ასეთი კურობული თარგმანი დასაშვებია არის და დასაბუღიც. ასე რომ არ იყოს, განა ამ წიგნს თავისი მარკით გამოუშვებდა ტრესტი?

ჩვენ კი ამ ანონიმური მთარგმნელის კალმის ვარჯიშს სახუმაროდ მივიჩნევდით, რომ ქართულ მართლწერასთან ხუმრობა შეიძლებოდა, მაგრამ იმ შემთხვევაშიც არ გამოდგებოდა ის სახუმაროდ.

ხუმრობის გარეშე კი—ასეთი თარგმანი მხოლოდ სამარცხვინო წუნად ჩაითვლება.



ნაიხრჩობიან

მოსავლი უხვი იყო,
მოიჭერეს შრომით გული,—
და პურ-ღვინო ჩვენც მივიღეთ
სიყვარულით მოკითხული!

უმოახტნენ ღურვა-ცხენებს
და მარულა იმართება,
რომ სახელი მოიხვეჭოს
ვაკაცურმა სიმარდემაც!

ახლა გემართებს საკრავების
სიშთა მრავალნაირობა,
ახლა გემართებს მხიარული
ღვქის თქმა და შირობა!

თვითთული ჩვენთაგანი
მათებრ სახე-მცინარია,
მაგრამ როგორ შევევძებროთ,
ყველაღერში წინ არიან!

გადაუსწრეს ბევრად წარსულს,
და აქ, თვალწინ, დღისით-მზისით,
ჩვენც იმათებრ როდი ვწინავართ—
საორტიული თვალსაზრისით!

ტარიღის შავი რაში
და თუთრონი ავთანდღლის
ისე მოსჩანს, თითქოს ვერღე
ღამეს მივხედს შუქი ღილის!

მათ შერანი ევობრება,
მიპქების, ყორანს გადაურჩა!
ვით არავისი ღურვი ტაღლა
მთიდან მიპქებს ვაყას ღურვა...

ჩვენ კი ბუდმა დაგვამშვიდა,
მანქანაში ერთად ვზივართ,
და მოტორის ძღირი გუგუნს
სისხარულით აუუსივართ...

სათამაშო ცხენზე რომ ზის
იმ „დამწყობა“ ასე სჯერა,
რომ თვით „კავშირს“ შეუძლია
მის „მაგიერ ღვქის წერა!

თუმც ხანდახან ვფარაკაობთ
და ცაბახიც ვცხობღას ახლა,
მაგრამ ერთ წიგნს ავიჩემებთ
და ყოველთვის ის ძუეს მალდა!

ცხენოსნებმა ჩავვიტოვეს,
ვაკაცურად, დღისით-მზისით!
ღღუსაც ჩვენზე გამარჯვებს
საორტიული თვალსაზრისით...

ბოგოტა ბიგაბაუი





აქ მოყვანილი ამბები მართალია მხოლოდ სპორტის საკითხებს შეეხება, მაგრამ იმდენად უფრო საინტერესოა, რამდენადაც ამერიკისა და დასავლეთ ევროპის მმართველი წრეები ახალგაზრდობაში ნერგავენ გადაჯვარებულ, საქმიანობას მოკლებულ „სპორტულ“ სახეებს და ამით ცდილობენ მასების ყურადღება ააცილონ იმ შავნელ საქმეებს, რომლებსაც მოურიდებლად ეწევიან თავიანთი ქვეყნის შიგნით და გარეთ.

ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით დამთავრდა საზაფხულო სპორტის სეზონი. მამაცმა ქართველმა ალპინისტებმა გულადობისა და თავდადების მაგალითი გვიჩვენეს შეხლდა-უშბის ტრავერსის ჩატარებისას. „დინამიკური“ კალათბურთელები საკავშირო ჩემპიონები გახდნენ. მოზარდმა ფეხბურთელებმა საკავშირო თასი თბილისში ჩამოიტანეს, მესამე, სპარჩო

ადგილზე გამოვიდა საკავშირო გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი და საპატიო ადგილი დაიკავეს „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა.

ახალგაზრდობის სიჯანსაღისა და შრომისა და ბრძოლისათვის მზადყოფნის გამომუდგენების საუკეთესო მაგალითი გახლდათ ამას წინათ ჩატარებული საქართველოს რესპუბლიკური სპარტაკიად.

უფრო მეტად იკიდებს ფეხს მასებში სპორტის ისეთი ნაციონალური სახეები, როგორიც არის მარულა, თარჩი, ყაბახი, ისინდი, ლელო და ცხენბურთი.

ანლა კი იქითაც გადავიხედოთ:

უკსოეთი

უხსკრივობა

დინამიკური

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ბოლო დროს ძალიან განვითარდა „სპორტის“ ახალი სახე—გადაფურთხება შორ მანძილზე, აფურთხება მალა და ნიშანში მიფურთხება. „სპორტის“ ამ სახეში ერთიმეორეს ეცილება თოთხმეტი კლუბი და ჩემპიონობა (მსოფლიოს მასშტაბით) მოიპოვა სან-ფრანცისკოელმა მებღაურმა. მან საღებო რეზინა გადააფურთხა 1.9 მეტრისა და 39 სანტიმეტრის მანძილზე.

ამას წინათ გვატამალისა და სან-სალვადორის ნაციონალურ ნაკრებ გუნდებს შორის მოეწყო ფეხბურთის მატჩი. თამაშის მსვლელობის განმავლობაში მოწინააღმდეგე გუნდები ისე გაერთვნენ ერთიმეორეზე თავდასხმა-შეტევაში, რომ მატჩი კრივით გააგრძელეს. ოცდარი მოთამაშე ერთმანეთს დაერია და ახარტში შესული მაყურებლებიც ისე გაიტაცა კრივმა, რომ ვეღარ მოითმინეს, იარუსებიდან მოედნისკენ იხუჯლეს და ისეთი დაკა-დაკა გაიმართა, ამერიკის კონგრესი გვეგონებოდათ. რომელი გუნდის სასარგებლოდ დამთავრდა ბრძოლა, ეს საკითხი იქაურმა გაზეთებმაც კი ვერ გამოარკვიეს, რადგან ვერაფერ ვერ შესძლო დაეკითხა ვის მხარეზე იყო ის რამდენიმე კაცი, რომელიც შეჯიბრების შემდეგ მკვდარბ დარჩა „სასპორტო“ მოედანზე.

ამერიკელმა მოქალაქემ ჯონი კონორმა ბოსტონიდან უორჩესტერში, დაახლოებით ასი კილომეტრის მანძილზე, ცხვირით გადააგორა არახისი (მიწის თხილი). როგორც ამერიკელები განმარტავენ, ამ სახის სპორტი ძალზე ანვითარებს ცხვირს. მაგრამ ამაოდ დაშვრა ჯონი კონორი: ყველაზე განვითარებულა ცხვირი, ეგრეთ წოდებული დინგი, გააჩნია ღორს და თვითონ ჯონი კონორიც დაგვერწმუნება, რომ ამ სახის სპორტში ღორთან შეჯიბრება ხელს არ მისცემს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემობასაც, რომ ვერც ერთი ღორი ვერ შეეყოფს დინგს სხვის ბოსტანში ისე წინდაუხედავად, როგორც ამას ამერიკელი ხელისუფლები სჩადიან, მაშინ ნათელი გახდება, თუ რა ტყუილად უწვლია კონორს ჩემპიონობის მოსაპოვებლად.

თოთხმეტისატიულოსანი

ერთმა ჩიკაგოელმა შუადღისგულზე მოაწყობა არაჩვეულებრივი სპორტული გაფრენა. მან თოკი ჩაიბა თმაში და მისმა მეგობრებმა ისე ასწეს მეთოთხმეტე სართულამდე.

თმასპორტის ოსტატის მეგობრები, რასაკვირველია, დღესაც ამტკიცებენ, რომ ჩემპიონობა მათ მეგობარს ეკუთვნის, მაგრამ მომხდარი ტროუკის შინაარსს თუ ჩაუყვირდებით, საქმე ეხება, არც მეტი და არც ნაკლები, მეთოთხმეტე სართულზე ასვლას, ან, თუ გნებავთ, ახტომას.



როცა ამ ცოლჩემპიონის პრეტენზიას გაიგებს, საფლავში როგორ არ გადატროილდება ნეტარხსენებული ფორესტოლი, რომელმაც მეთვრამეტე სართულიდან ისკუბა და პირდაპირ მამაღმერთთან მოადინა ტყაპანი.

ვიცი გაუკვირდებთ ჩვენს მკითხველებს, რატომ მაინცდამაინც ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარდა ასეთი სახის სპორტი, მაგრამ თუ გაისხენებენ, რომ აღნიშნულ ქვეყანაში მოიპოვება უოლ-სტრიტი, ატომის კომისია და ხსენებულ სპორტისათვის ძვირფასი სხვა ასეთი სანიშნოები, გასაკვირველიც აღარაფერი იქნება.

ამერიკის ზოგიერთ წრეებში იმედს გამოთქვამენ, რომ ეს სპორტი მალე გადატანილი იქნება მარშალიზებულ ქვეყნებშიც. და ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მარშალიზებული ქვეყნები იმდენად განვითარდებიან „სპორტის“ ამ სახეში, რომ მარშალისავე გვეგნით შემოზიდულ საღებო რეზინას ერთი გაფურთხებით ოკეანეს გადააცილებენ და გამოგზავნენ შიგ შუბლში მიაკვრებენ.



ნახ. ა. კანდელაკისა



ქვემოთაა წარმოდგენილი
 ავტობიოგრაფია



უკანასკნელ შეჯიბრებას
 გაჰყვა ჩემი სუდიც, ვგონებ,
 ზაფხულამდე უკვე მსაჯის
 სტვენას ვეღარ გავიგონებ.

საყვარელი სტადიონი
 ვერ დავთმე და აგრე ვზივარ...
 „საქბალმშენის“ ბუხპაღტერი
 კურდღელაანთ აღექსი ვარ.

კუჩხა გელნიერი



ქართული
 ლიტერატურა

საზონური საუბარი

ნახ. გ. იაშვილისა



— დიდუ, ბეჩა, ღამარა, რაფერ გაშავებულხარ! ხად
 მხეხებდი?
 — მახინჯაურში. შენ კი, ციალა, გენაცვალე, ხად
 გახუჭდი ახე?
 — მენჯში, ჩემო კარგო...

შახვერები



— ხულ რომ ხადგურზე გხედავ თაიგულით, რაო,
 არ ჩამოდის შენი გმირი? რაღაც ხაეკვოა...
 — რაა ხაეკვო? როგორ არ ჩამოდის: ამას წინათ
 შეხელდა-უშბას გმირებს დავხვდი, მერე — „დინამოს“
 კალათბურთელებს, დღეს — აღექსანდრა ჯაფარიძეს,
 ხვალ კი — ცხენოსანთა შეჯიბრების მონაწილეებს
 უნდა დავხვდე უსიკვდილოდ... ოო, წელს უთუოდ დიდი
 სპორტული ხეზონია!

რედაქტორი კარლო კალაძე. სარედაქციო კომლენია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი,
 უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი (რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1950 წ. 6/8. სტამბა „ხარია ვოსტოკა“. შტა. № 2274. რუსთაველის პროსპ. № 42. გამოც. № 92. ტირ. 11.000. უგ06133



აშაჩიკელი რომაელები

ეტლებე შემდგარი მარშალი კვლავ ფორესტოდის ტოლია, მფრინავი თავი რომ უცქერს—ეს თვითონ ფორესტოლია.

შვენის რომაედ აგრესორს ხედთ მომართული ისარი, თვლებში რომ ეტლის თავი სჩანს ეტლის რესორიც ის ა